

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3-4
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4-6
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	7
მოგება-ზარალის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	10

Contents

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	11
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	23
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	25
6. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
7. ძირითადი საშუალებები	28
8. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	29
9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	30
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33
12. საკუთარი კაპიტალი	33
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
14. ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	34
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
16. შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	34
17. ფინანსური დანახარჯები და ფინანსური შემოსავლები	34
18. სხვა შემოსავალი	35

19.	ინვესტიციები.....	35
20.	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	35
21.	ფინანსური რისკების მართვა	36
22.	რეალური ღირებულების შეფასება.....	39
23.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	42

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მემო“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;


შპს „მემო“

2024 წლის 31 დეკემბერი

- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი



თამთა დვალიშვილი

ფინანსური დირექტორი

ზაზა სარჯველაძე



29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მემო“-ს (ს/ნ 400012295) ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მემო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ სრულად მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო მოთხოვნებზე, რომლიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 17 874 506 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მივიღეთ სრულად მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე, რომლიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 24 007 696 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის

წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა- განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ- ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების,

ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შ.პ.ს. „ELIT AUDIT“ (245627978)

SARAS-F-479381

გარიგების პარტნიორი:

კახა ხელაძე

2025 წლის 29 სექტემბერი

საქართველო

შპს „მემო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენი- შენა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,306,920	3,062,792
აქტივის გამოყენების უფლება	7	17,361,479	18,729,102
არამატერიალური აქტივები		35,775	42,063
ინვესტიციები საწარმოში		1,010,450	1,010,450
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,714,625	22,844,406
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	7,637,926	8,358,546
გაცემული სესხი		50,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	17,874,506	4,466,664
ფული და ფულის ექვივალენტები	10	798,065	1,603,590
სულ მოკლევადიანი აქტივები		26,360,496	14,428,799
სულ აქტივები		47,075,121	37,273,205
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	11	6,631,416	6,546,469
სულ საკუთარი კაპიტალი		6,631,416	6,546,469
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	14,475,105	14,840,837
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,475,105	14,840,837
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	7	1,854,272	2,015,489
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		24,007,696	13,652,537
საგადასახადო ვალდებულებები		106,631	217,873
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,968,599	15,885,899
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,075,121	37,273,205

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თამთა დვალისვილი

ზაზა სარჯველაძე


29 სექტემბერი, 2025 წელი



საქართველო, თბილისი

შპს „მემო“

მოგებისა და ზარალის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შე- ნიშ- ვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	14	70,378,535	68,074,044
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(60,199,924)	(57,502,864)
საოპერაციო მოგება		10,178,611	10,571,180
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(16,123,148)	(15,981,671)
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	16	9,094,795	8,069,272
ფინანსური დანახარჯები	17	(957,050)	(1,100,065)
ფინანსური შემოსავლები	17	2,934,938	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,049,011)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	5,697
სხვა შემოსავალი	18	2,160,488	34,369
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		4,239,623	1,598,784
მოგების გადასახადის ხარჯი		(623,201)	
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		3,616,421	1,598,784
სხვა სრული შემოსავლები		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,616,421	1,598,784

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

თამთა დვალისვილი




29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ფინანსური დირექტორი

ზაზა სარჯველაძე



შპს „მემო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		3,616,421	1,598,784
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6.7	2,248,996	1,951,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანარიცხი	9	395,844	296,643
საპროცენტო (შემოსავალი)/ზარჯი	17	957,050	1,126,029
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შედეგი	17	(2,934,938)	(25,964)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	(13,407,842)	(28,575)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	8	720,620	(619,970)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში, წმინდა		111,242	91,876
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	10,193,942	3,365,246
ცვლილება საოპერაციო საქმიანობიდან		1,901,336	7,755,232
მიღებული/(გადახდილი) პროცენტი		15,684	(46,050)
მიღებული დივიდენდები		2,099,845	-
სხვა საოპერაციო გასაღებები		-	(851,827)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		4,016,865	6,857,355
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა	6	(140,458)	(1,278,989)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(140,458)	(1,278,989)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(3,354,900)	(1,615,169)
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(1,327,032)	(1,827,666)
სასესხო ვალდებულების გადახდა		-	(1,533,722)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,681,932)	(4,976,556)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	1,603,590	1,001,780
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(805,525)	601,810
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	10	798,065	1,603,590

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

თ. ჯაფარიძე

თამთა დვალისვილი

29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ფინანსური დირექტორი

ზაზა სარჯველაძე


ზაზა სარჯველაძე

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი დეკემბერი 31, 2022	-	6,562,854	6,562,854
წლის მოგება / (ზარალი)		1,598,784	1,598,784
დივიდენდის გამოცხადება		(1,615,169)	(1,615,169)
ნაშთი დეკემბერი 31, 2023	-	6,546,469	6,546,469
წლის მოგება / (ზარალი)		3,616,421	3,616,421
დივიდენდის გამოცხადება		(3,531,474)	(3,531,474)
ნაშთი დეკემბერი 31, 2024	-	6,631,416	6,631,416

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

თამთა დვალიშვილი



29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ფინანსური დირექტორი

ზაზა სარჯველაძე



შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მემო“ (‘კომპანია’) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 3 დეკემბრის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400012295.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემის დასახლება, მე-9 და მე-10 კვარტლებს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი, ლიტერ „ბ“.

კომპანიის ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემის დასახლება, მე-9 და მე-10 კვარტლებს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი, ლიტერ „ბ“.

კომპანიის მფლობელობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

- შპს კაპიტალი (400170391) - 50%,
- ოსებ ლუდუშაური (01019006529) - 50%.

თავის მხრივ შპს „კაპიტალი“-ს 100%-იანი წილის მფლობელია თამთა დვალიშვილი (60001034146), რომელიც შპს „მემო“-ს დირექტორია და ჩართულია კომპანიის მართვაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების წარმოება, სასურსათო და სხვა წვრილმანი საყოფაცხოვრებო საცალო პროდუქტის გაყიდვები. შპს „მემო“ საქართველოს ბაზარზე ვაჭრობს მრავალი დასახელების საქონლით, როგორებიც არის: გაყინული პროდუქტები, მზა საკვები, ნახევარფაბრიკატები, ბურღულეული, ზეთი, თავის მოვლისა და დასუფთავების საშუალებები და სხვა პირველადი მოხმარების საშუალებები. კომპანია თანამშრომლობს ადგილობრივ სავაჭრო და სადისტრიბუციო ქსელებთან, რომელთაგანაც ახორციელებს აღნიშნული პროდუქტების შესყიდვას.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იჯარით აქვს აღებული 2 საწყობი და 3 მაღაზია თბილისში (2023 წ.: 2 საწყობი და 3 მაღაზია).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 475 ადამიანს (2023 წ.: 444-ს). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 470-ს (2023 წ.: 436-ს).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ყოველი წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდრის ჩათვლით პერიოდს.

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში, როგორც „შემოსავალი საკურსო ხვაობიდან, წმინდა“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე,

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არამონეტარული მუხლები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არამონეტარულ მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი/100 რუსული რუბლი	2.5405	2.9916

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარცხებით. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. კომპანიას არ გააჩნია თანხობრივი მინიმალური ზღვარი ძირითადი საშუალებების აღსაღრიცხად. კომპანია ძირითად საშუალებებში აღრიცხავს მცირეფასიან პირადი მოხმარების აქტივებს. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები ასევე კაპიტალიზირდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

ცვეთა. მიწას და ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ხოლო იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი, რადგან იგი ყველაზე კარგად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ძირითადი საშუალების კატეგორია	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ავტომობილები	7
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	5
მანქანა-დანადგარები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამისი იჯარის ვადას შორის უმცირესი

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს შენობა-ნაგებობებს. აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული საავანსო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ მას ექნება შემდგომი შესყიდვის შესაძლებლობა, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურდება მოცემული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10-დან 20 წლამდე

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზირდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. ამორტიზაციის ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები – პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება.

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით,

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან (“SPPI”) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივს, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტი.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლას (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება.

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხისა

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით. ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. ძირითადად მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 90 დღეს და შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და შესაბამისად შემდგომში აღრიცხავს მათ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებები. სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საკუთრების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს,
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

საიჯარო გადახდები განაწილებულია მირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია. დაბალღირებულებიანი აქტივები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობასა და საოფისე ავეჯის მცირე ზომის მუხლებს 10 ათასი ლარის ან ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. დასაბეგრი მოგება გაიანგარიშება შემდეგნაირად ბიზნესში არაინვესტირებული წილი გაიყოფა 0.85-ზე და გამრავლდება 15%-ზე. არაინვესტირებული წილი გულისხმობს განაწილებულ წმინდა დივიდენდებს, ხოლო ის წილი რომელიც არ განაწილდება რჩება დაუბეგრავი.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები:

(a) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (b) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (c) წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები დაამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული გადასახდელი დღე გადავადდება 5-დან 10 წლამდე პერიოდით იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც აქვთ 20%-ზე მეტი დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO მეთოდის საფუძველზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესასყიდ ფასს, იმპორტის და სხვა არააღდგენად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს, შემცირებულს ფასდათმობით, დაბრუნებით და მსგავსი მუხლებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმდინარე მდგომარეობაში და ადგილმდებარეობაზე მოყვანის პროცესში. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. აქტივის შესაძენად

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიან. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საკუთარი კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით. მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 30 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე. მოგება-ზარალში საპროცენტო შემოსავალი აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, და სხვა არამონეტარული სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დადასტურება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობას. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეებზე ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისათვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები. გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია კომპანიის მთელ რიგ იჯარებში. ესენი გამოიყენება კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის. გაგრძელებისა და შეწყვეტის ოფციონების უმეტესობა მხოლოდ კომპანიის მიერ შეიძლება იყოს გამოყენებული და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფაქტსა და გარემოებას, რომელიც გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოყენებისთვის ეკონომიკური წახალისებისთვის არის საჭირო. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდები) შეყვანილი მხოლოდ იჯარის პირობებში თუ იჯარას თან ახლავს გონივრული რწმუნება იმისა, რომ ის გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

შენიშვნა-ნაგებობების იჯარებისთვის ჩვეულებრივ, ყველაზე შესაბამისია შემდეგი ფაქტორები:

- თუ არსებობს შეწყვეტაზე (ან არ გაგრძელებაზე) მნიშვნელოვანი ჯარიმები, ჩვეულებრივ, კომპანიას გონივრული რწმუნება გააჩნია გააგრძელოს (ან არ შეწყვიტოს იჯარა).
- თუ მოსალოდნელია, რომ რაიმე საიჯარო გაუმჯობესებას გააჩნია მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად წარმოების ნორმალური სვლის რღვევას.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ოფციონი ფაქტობრივად გამოიყენება (ან არ გამოიყენება) ან კომპანია ვალდებული ხდება, რომ ის გამოიყენოს. გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2024 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის);
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორის

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესახებ

- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული) ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

•

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- ალიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს;
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ალიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა:

- ✓ ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ – (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)
- ✓ შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის);
- ✓ გადასვლის ოფციონი მზღვევლებისათვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს - ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)
- ✓ ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა).
- ✓ ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).
- ✓ გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან - შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ✓ ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია არის შემდეგი:

- ✓ შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბრის და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ✓ ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბრის, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ✓ ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)
- ✓ შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისათვის).
- ✓ ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბრის და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ფინანსურ ანგარიშგებაზე

6. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ლარში	დაკავშირებული მხარეები	დაკავშირებული მხარეები
	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	781,450	2,626,887
სავაჭრო ვალდებულებების მთლიანი თანხა	-	105,222
საიჯარო ვალდებულებები	15,703,438	16,210,509
ინვესტიციები საწარმოებში	1,010,450	1,010,450
აქტივის გამოყენების უფლება	16,409,739	17,755,486

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარისგან იჯარით აღებული ქონება ჩადებული იყო მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაკავშირებული მხარეების შემოსავლისა და ხარჯების მუხლებია:

ლარში	დაკავშირებული მხარეები 31.12.2024	დაკავშირებული მხარეები 31.12.2023
ამონაგები	-	2,025,118
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	(1,215,071)
საპროცენტო ხარჯი	(836,947)	(947,059)
საიჯარო გადახდები	(1,984,557)	(1,756,015)

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ძირითადი ხელმძღვანელი პირია აღმასრულებელი დირექტორი თამთა დვალიშვილი.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია გადასახადების ჩათვლით წარმოდგენილია ქვემოთ:

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია გადასახადების ჩათვლით	2024	2023
ხელმძღვანელი პირების სარგებელი:		
-ხელფასები	23,856	38,390
-დივიდენდები	1,042,831	1,213,563

7. ძირითადი საშუალებები

2024 და 2023 წლის მდგომარეობითძირითადი საშუალებებისა საბალანსო ღირებულებების მოძრაობა შემდეგნაირია:

ლარში	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,125,758	2,391,354	201,262	657,358	5,375,732
დამატებები	131,601	810,210	-	337,178	1,278,989
გასვლები	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,257,358	3,201,564	201,262	994,536	6,654,721
დამატებები	-	91,415	-	27,800	119,215
გასვლები	-	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,257,358	3,292,978	201,262	1,022,337	6,773,936
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(1,454,172)	(955,241)	(72,114)	(270,324)	(2,751,851)
ცვეთის ხარჯი	(208,416)	(498,281)	(24,749)	(108,632)	(840,078)

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(1,662,588)	(1,453,522)	(96,863)	(378,956)	(3,591,929)
ცვეთის ხარჯი	(195,080)	(552,899)	(30,600)	(96,507)	(875,086)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(1,857,668)	(2,006,421)	(127,463)	(475,463)	(4,467,016)
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	594,770	1,748,042	104,399	615,581	3,062,792
2024 წლის 31 დეკემბერი	399,690	1,286,558	73,799	546,874	2,306,920

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს სესხის გირაოს სახით მესამე მხარისთვის გადაცემულ უზრუნველყოფას.

8. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სასაწყობო და სავაჭრო ობიექტების ფართი. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებული პერიოდების გამოყენებით 10-დან 20 წლამდე, ამასთან კომპანიის ხელმძღვანელობის რწმუნებით ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარეებთან იქნება აქტიური სანამ კომპანია საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებას გააგრძელებს.

2019 წლის 1 იანვრიდან იჯარების ძირითადი ნაწილი აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.

ლარში	შენობა-ნაგებობები
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	15,885,751
დამატებები	3,947,039
ცვეთის ხარჯი	(1,103,688)
შეწყვეტა	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	18,729,102
დამატებები	-
ცვეთის ხარჯი	(1,367,623)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	17,361,479

საიჯარო ვალდებულებები

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,854,272	2,015,489
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	14,475,105	14,840,837
სულ საიჯარო ვალდებულებები	16,329,377	16,856,326

სულ ფულადი სახსრების გადინება ფასს 16-ით შეფასებული საიჯარო ვალდებულებისთვის 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 1,327,032 ლარს (2023 წ.: 1,827,666 ლარს), ხოლო მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იყო 957,050 ლარი (2023 წ.: 1,079,979 ლარი). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის იჯარის ხარჯი, რომლიც არ დაკაპიტალიზირდა ყოველთვიური ცვლადი გადახდების გამო იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობა შეყვანილია კომპანიის მთელ რიგ ძირითადი საშუალებების იჯარებში. ისინი გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალიზაციისთვის, კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის კუთხით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები ორივე მხარის მიერ შეიძლება იყოს გამოყენებული და არა მხოლოდ მოიჯარის ან მეიჯარის მიერ.

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდად გამიზნული მზა პროდუქცია	7,637,926	8,358,546
გასაყიდად გამიზნული სხვა მარაგი	-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, სულ	7,637,926	8,358,546
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	60,199,924	57,502,864

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება სასურსათო და სხვა წვრილმანი პროდუქციისაგან, ისეთები როგორიცაა გაყინული პროდუქტები, მზა საკვები, ნახევარფაბრიკატები, ბურღულეული, თავის მოვლისა და დასუფთავების საშუალებები და სხვა. კომპანიის მიერ საკუთარი წარმოებული პროდუქტის რეალიზება სრულად მოხდა წლის განმავლობაში, შესაბამისად აღნიშნული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თანხები წლის ბოლოს ცალკე ნაშთებად არ არის წარმოდგენილი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	5,852,961	2,986,471
სხვა ფინანსური მოთხოვნა	1,174,411	1,083,963
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(395,844)	(296,643)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6,631,529	3,773,792
გადახდილი ავანსები	11,242,977	692,872
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,874,506	4,466,664

მე-10 განმარტებით შენიშვნაში დამოუკიდებელ მუხლად წარმოდგენილი „სხვა ფინანსური მოთხოვნა“ -ში ნაგულისხმევია კომპანიის მიერ მოკლევადიან იჯარით გაცემული ფართებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები.

ყველა სავაჭრო მოთხოვნა საკრედიტო ზარალის რეზერვის გათვალისწინებით დენომინირებულია ლარში. კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის მენეჯმენტის მიერ შეფასებულ გადახდების ანალიზს 2024 წლის 31 დეკემბრამდე და ამ პერიოდამდე მიღებულ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირდება მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარსა და სამომავლო პროგნოზირებად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კომპანიამ განახორციელა ყველაზე შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება და ამის მიხედვით დააკორექტირა ამ ფაქტორებში ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთი. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

2024 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხვ. წილი მთლიან ღირებულებაში	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნა				
-მიმდინარე	0%	-	-	-
-30-90 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	6,631,529	-	6,631,529
-91-180 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
-181-360 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
-360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	100%	395,844	395,844	-
სულ		7,027,372	395,844	6,631,529

2023 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ხვ. წილი მთლიან ღირებულებაში	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნა				
-მიმდინარე	0%	3,773,792	-	3,773,792
-30-90 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
-91-180 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
-181-360 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
-360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	100%	296,643	296,643	-
სულ		4,070,435	296,643	3,773,792

ცვლილებები გადახდილ ავანსებში შემდეგია:

ლარში	გადახდილი ავანსები
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	507,968
დამატებები	692,872
აღიარება შეწყვეტილი გადახდილი ავანსები საქონლის/მომსახურეობის მიღებისას	(507,968)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	692,872
დამატებები	11,242,977

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

აღიარება შეწყვეტილი გადახდილი ავანსები საქონლის/მომსახურების მიღებისას	(692,872)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის	11,242,977

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის მენეჯმენტის მიერ შეფასებულ გადახდების ანალიზს 2023 წლის 31 დეკემბრამდე და ამ პერიოდამდე მიღებულ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირდება მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარსა და სამომავლო პროგნოზირებად ინფორმაციაზე დაყრდნობით. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება მე-10 განმარტებით შენიშვნაში წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს. მიიჩნევა რომ 1 წელზე მეტი ვადით გადაცილებისას დებიტორული დავალიანება რეზერვდება 100%-ით.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	795,328	1,603,078
საბანკო ნაშთები	2,737	512
ფული და ფულის ეკვივალენტები, სულ	798,065	1,603,590

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ფულადი ნაკადების ფულადი ნაშთები შეესაბამება სულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

12. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 50%-იანი წილის ორი მფლობელით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდები 3,531,474 ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 1,615,169 ლარი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
-------	---------------------------	---------------------------

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დავალიანება საქონლის მიწოდებიდან	17,862,680	10,986,488
დავალიანება მომსახურების გაწევიდან	2,470,558	407,744
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,333,238	11,394,232
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	-	4,865
მიღებული ავანსები	3,674,459	2,253,440
სულ სხვა ვალდებულებები	3,674,459	2,258,305
სულ საგაჭრო ვალდებულებები	24,007,696	13,652,537

14. ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარში	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	56,353,153	54,510,756
შემოსავალი წარმოებული პროდუქციიდან	14,075,707	13,614,809
გაყიდული საქონლის დაბრუნება	(50,326)	(51,521)
სულ ამონაგები	70,378,535	68,074,044
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(54,202,796)	(53,142,384)
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,019,992)	(5,750,286)
შესყიდული საქონლის დაბრუნება	22,865	1,389,807
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(60,199,924)	(57,502,864)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარში	2024	2023
შრომის ანაზღაურება	7,885,532	6,771,222
ცვეთა და ამორტიზაცია	2,248,996	1,951,163
დასუფთავების ხარჯი	3,369,557	3,886,837
კომუნალური ხარჯი	1,250,302	1,185,936
იჯარის ხარჯი	289,175	1,219,768
ბანკის და ტერმინალის ხარჯი	201,147	486,326
საექვო მოთხოვნების რეზერვი/(რევერსალი)	395,844	296,643
საპენსიო ხარჯი	116,915	99,671
გადასახადები	26,787	28,372
საოპერაციო და სხვა ხარჯი	338,891	55,733
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	16,123,148	15,981,671

16. შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან

მარკეტინგული შემოსავალი გულისხმობს კომპანიის მიერ სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას მომწოდებლების მოთხოვნით. ასეთებია მაგალითად, მაღაზიაში პროდუქციის ძირითად კატეგორიაში წარმოდგენა, კონკრეტული სახეობის პროდუქტის წინასწარ შეთახმებულ რაოდენობაზე მეტის გაყიდვა, ა.შ.

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

17. ფინანსური დანახარჯები და ფინანსური შემოსავლები

ლარში	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(957,050)	(1,126,029)
წმინდა მოგება(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-	25,964
სულ ფინანსური დანახარჯები წმინდა	(957,050)	(1,100,065)
ლარში	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	-	-
უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	2,934,938	-
სულ ფინანსური დანახარჯები წმინდა	2,934,938	-

18. სხვა შემოსავალი

ლარში	2024	2023
დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი	2,099,845	-
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	17,220
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	60,643	17,149
სხვა შემოსავალი, სულ	2,160,488	34,369

19. ინვესტიციები

კომპანიას გააჩნია 50%-იანი წილი შპს „უნივერსამ“-ში. თავდაპირველი ღირებულებით ინვესტიცია შეფასებულია 1,010,450 ლარად. მიმდინარე პერიოდამდე კომპანიას არ გამოუყენებია ინვესტიციების აღრიცხვის წილობრივი მეთოდი, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია წარმოდგენილია თავდაპირველი, თვითღირებულებით.

20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი შემდეგია:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
-სავაჭრო მოთხოვნები	5,852,961	2,986,471
-სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,174,411	1,083,963
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
-ფული სალაროში	795,328	1,603,078
-ბანკის ნაშთები მოთხოვნამდე	2,737	512
სულ საბალანსო რისკი	7,825,437	5,674,024
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	7,825,437	5,674,024

საკრედიტო რისკის მართვა. 2023 და 2022 წლის ბოლოს კომპანიას საკრედიტო რისკი არ გააჩნია, თუმცა არსებობს ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკის მართვის სქემა. რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და

დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მისაღები რისკის ოდენობაზე ზღვრების დაწესებით ინდივიდუალურად ერთ კონტრაქტთან, ან კონტრაქტების ჯგუფთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტის ან/და დარგის მიხედვით. საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის შემთხვევაში მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნესს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტ უნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაქტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების კოლექტიურ, ან ინდივიდუალურ მიდგომას, შესაბამისი ფინანსური აქტივის ხარისხიდან გამომდინარე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს ბოლო 2 წლის განმავლობაში და გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლის მიერ მოთხოვნების შესრულებაზე. ინდივიდუალური შეფასებისთვის, ინდივიდუალური მომხმარებლის სამომავლო პერსპექტივები, გადახდისუნარიანობა და მისი საქმიანობის სფეროც არის გათვალისწინებული კომპანიის მოლოდინების გათვალისწინებით.

შეფასების პრინციპები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიმოიხილავს დასაფარი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობას და დამატებით ზომებს იღებს უმოქმედო ნაშთებთან მიმართებით.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
USD	-	15,703,438	(15,703,438)	269	16,210,509	(16,210,240)
EUR	-	-	-	267	-	267
სულ	-	15,703,438	(15,703,438)	536	16,210,509	(16,209,973)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს. არაფინანსური აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.
ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი
USD გამყარება 10%-ით	(14,589,216)
USD გაუფასურება 10%-ით	14,589,216
EUR გამყარება 20%-ით	214
EUR გაუფასურება 20%-ით	(214)

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი
USD გამყარება 10%-ით	(14,589,216)
USD გაუფასურება 10%-ით	14,589,216
EUR გამყარება 20%-ით	214
EUR გაუფასურება 20%-ით	(214)

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან. კომპანია ექვემდებარება სავალუტო, განსაკუთრებით ევროს რისკს. სავალუტო რისკი წარმოიქმნება სამომავლო გარიგებებისა და აღიარებული აქტივებისგან და ვალუტით (რომელიც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა) გამოსახული ვალდებულებებისგან. სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კომპანიის მოგება-ზარალზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობის მიერ ეს რისკი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობები დარჩენილი დაფარვის ვადების მიხედვით. თანხები წარმოადგენენ საბალანსო ღირებულებით აღიარებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი ფულადი ნაკადები არ განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ასევე ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ლარში	მოთხოვნა 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	798,065	-	-	798,065
ინვესტიციები საწარმოებში	-	-	1,010,450	1,010,450
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	6,631,529	-	-	6,631,529
სულ ფინანსური აქტივები	7,429,593	-	1,010,450	8,440,043
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,333,238	-	-	20,333,238
საიჯარო ვალდებულებები	1,854,272	8,719,582	6,803,313	17,377,167
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,187,510	8,719,582	6,803,313	37,710,405
წმინდა ბალანსი	(14,757,916)	(8,719,582)	(5,792,863)	(29,270,361)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ლარში	მოთხოვნა 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,603,590	-	-	1,603,590
ინვესტიციები საწარმოებში	-	-	1,010,450	1,010,450
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	3,773,792	-	-	3,773,792
სულ ფინანსური აქტივები	5,377,381	-	1,010,450	6,387,831
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,394,232	-	-	11,394,232
საიჯარო ვალდებულებები	2,015,489	6,917,462	7,923,375	16,856,326
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,409,721	6,917,462	7,923,375	28,250,558
წმინდა ბალანსი	(8,032,340)	(6,917,462)	(6,912,925)	(21,862,727)

22. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას.

თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით.

ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	I დონის რეალური ღირებულება	II დონის რეალური ღირებულება	III დონის რეალური ღირებულება	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
-ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	795,328	2,737	-	798,065
-ინვესტიციები საწარმოებში	-	-	1,010,450	1,010,450
-სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	-	-	6,631,529	6,631,529
სულ აქტივები	795,328	2,737	7,641,979	8,440,043
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
-საიჯარო ვალდებულებები	-	-	16,329,377	16,329,377
-სავაჭრო ვალდებულებები	-	-	20,333,238	20,333,238
სულ ვალდებულებები	-	-	36,662,615	36,662,615

შპს „მემო“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი			
	I დონის რეალური ღირებულება	II დონის რეალური ღირებულება	III დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
-ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,603,078	512	-	1,603,590
-ინვესტიციები საწარმოებში	-	-	1,010,450	1,010,450
-სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	-	-	3,773,792	3,773,792
სულ აქტივები	1,603,078	512	4,784,242	6,387,831
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
-საიჯარო ვალდებულებები	-	-	16,856,326	16,856,326
-სავაჭრო დავალიანებები	-	-	11,394,232	11,394,232
სულ ვალდებულებები	-	-	28,250,558	28,250,558

ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ. რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით, უძრავი ქონების ფასების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიუხედავად მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტისა ანგარიშგების თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გაიცა 2635131 ლარის დივიდენდი.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც გამჟღავნებას ან/და დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს გამოიწვევდა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს „მემო“
მმართველობითი
ანგარიშგება
2024 წელი

1. მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საფირმო სახელწოდება: შპს მემო

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი: 400012295

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 03/12/2010 მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ნაძალადევის რაიონი,

დასახლება თემქის, მე-9 და მე-10 კვარტლებს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი,

ლიტერ "ბ"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს ფილიალები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სუპერმარკეტების ფუნქციონირება საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების ზრდა ვაჭრობისა და წარმოების სფეროში, რენტაბელობისა და საკუთარი პოზიციის გამყარება და ასევე მუდმივი ზრუნვა მომხმარებლისთვის ახალი და უსაფრთხო პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში მიწოდებაზე.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმების ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი ლოკაციების დამატება,
- საკუთარი წარმოებისა და სხვა პროდუქციის ასორტიმენტის განახლება,
- კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკის წარმართვა,
- დამატებითი ცვლილებები მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად.

კომპანია დაარსებიდანვე ორიენტირებულია ზრდასა და განვითარებაზე, რისთვისაც მუდმივად იკვლევს, ითვისებს ახალ მიმართულებებს, ამატებს ახალ პროდუქტებს და აფართოებს პორტფელს. კომპანია ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ადამიანური რესურსების განვითარების კუთხითაც, რაც, ასევე, ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

დაარსებიდან დღემდე, კომპანიის უცვლელი მიზანია საბოლოო მომხმარებელს მიაწოდოს მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია მთელი თბილისის მასშტაბით.

მაგალითად, ბოლო პერიოდში მომხმარებლებზე და მათი მოთხოვნების ანალიზზე დაყრდნობით კომპანიამ დაადგინა, რომ იზრდება მოთხოვნა ადგილობრივად წარმოებულ და პრემიუმ ხარისხის, მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების მიმართ. სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება კომპანია, რაც გულისხმობს როგორც არსებულ მომწოდებლებთან აღნიშნულ პროდუქტებთან მიმართებაში მოლაპარაკების წარმოებას, ასევე ახალი მომწოდებლის მოძიებას, რაც საშუალებას მოგვცემს უმაღლესი ხარისხის, საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების სრული დაცვით მივაწოდოთ მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქტი პრემიუმ ხარისხის შეფუთვაში.

კომპანია აქტიურად მუშაობს პროდუქტების ახალი მიმართულების დამატებაზე. კერძოდ, კომპანია ავითარებს ადგილობრივი წარმოების ბურლულეული პროდუქციის მიმართულებას, კომპანია გეგმავს აქტიურად აამუშავოს ეს მიმართულება, რაც საშუალებას მისცემს აითვისოს ახალი საბაზრო სეგმენტი და გააფართოვოს კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლების ბაზა.

2. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს შპს მემო -ს ბაზრის ფართომასშტაბიანი მარკეტინგული კვლევა არ ჩატარებია.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საიდანაც პროდუქცია ნაწილდება თბილისში არსებულ საწყობში და შემდეგ მიწოდება ხდება შესაბამის სუპერმარკეტში. გაყიდვების საერთო წილის 100% მოდის თბილისზე.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. კომპანიის დამფუძნებლები მართავენ ძირითადი მიმართულებების დირექტორებს, რომელთა დაქვემდებარებაში არიან ძირითადმიმართულებებზე მომუშავე თანამშრომლები.

4. დასაქმებულთა სტატისტიკა

„მემო“, თავისი გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, გეგმავს ინვესტიციები ჩადოს პერსონალის ზრდასა და განვითარებაში. კომპანიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა შესყიდვებისა და გაყიდვების გუნდია, შესაბამისად, თითოეული თანამშრომლის საჭიროებებიდან გამომდინარე იგეგმება მათზე სპეციალურად მორგებული ტრენინგები, რაც საშუალებას მისცემს მათ აითვისონ თანამედროვე ტექნიკები და დროის მენეჯმენტის პრინციპები.

კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები. მუდმივად ხდება თანამშრომლების მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა.

5. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

“მემო“ კორპორატიული მდგრადობის პრინციპების ფარგლებში, ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს. კომპანია ზრუნავს ეკოლოგიაზე. ამისათვის, ვადაგასული და გასაყიდად გამოუსადეგარი პროდუქციის, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უტილიზაციას ახორციელებს, ხოლო კომპანიის კუთვნილი მანქანები მუდმივად გადიან ტექ-დათვალიერებას გამონაბოლქვის შემოწმებისა და სხვა მიზნებისთვის, რათა თავიდან აიცილოს გარემოს დაბინძურება.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება ეროვნული ვალუტის მიმართ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ახორციელებს პროდუქციის უდიდესი ნაწილის ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვას, მნიშვნელოვან რისკს საოპერაციო ჭრილში კომპანიისთვის სავალუტო რისკი არ წარმოადგენს.

მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი არ აქვს.

პროდუქციის შესყიდვის ფასის მერყეობა

პროდუქტების საბაზრო ფასის ცვლილების რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანია ცდილობს მომწოდებელთან მოლაპარაკების წარმოებისას მიაღწიოს ფასზე შეთანხმებას გარკვეულ მომდევნო პერიოდზე.

საკანონმდებლო რისკი

კომპანიის ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. იმისათვის რომ ბიზნეს საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან და თავიდან იქნეს აცილებული საგადასახადო და საკანონმდებლო რისკები, კომპანია უწყვეტად ეცნობა მიმდინარე და სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებებს და ახდენს მის მონიტორინგსა და ანალიზს.

საოპერაციო რისკები

პროდუქციის დაზიანების რისკისაგან თავიდან აცილების მიზნით კომპანიის პროდუქცია ინახება გაყინული პროდუქტების შესანახ საწყობში. საწყობი აღჭურვილია ტემპერატურული მონიტორინგის მექანიზმით, რაც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს თითოეული შესანახი საკნის ტემპერატურული რეჟიმი და თავიდან აცილებულ იქნას რეჟიმის დარღვევით გამოწვეული საფრთხეები, კერძოდ პროდუქციის ვარგისიანობის ხელყოფა.

რეპუტაციის რისკი

ქართულ ბაზარზე არის შემთხვევები, როდესაც ხორციელდება შერჩევითად ზოგიერთი პროდუქციის მიმართ ნეგატიური პიარი და ანტი რეკლამა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის რეპუტაციაზე. ამისაგან თავის დასაცავად, კომპანია მუდმივად მუშაობს საკუთარი ბრენდისა და იმიჯის შენარჩუნებაზე, განვითარებასა და გამყარებაზე, ახორციელებს მომხმარებლის ინფორმირებას საკუთარი პროდუქციის ხარისხსა და წარმომადგენლობაზე სოციალური მედიის და სხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით.

ლიკვიდურობის რისკი


ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის საფუძველზეც საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების პროგნოზის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მეშვეობით.

საპროცენტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის. კომპანიას ერთი გრძელვადიანი სესხი აქვს აღებული კომერციული ბანკისგან ცვლადი საპროცენტო განაკვეთით და ეს რისკი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგებადამტკიცდა გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.



თამთა დვალიშვილი 6000103414
დირექტორი



ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი

შპს „მემო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენი- შენა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,306,920	3,062,792
აქტივის გამოყენების უფლება	7	17,361,479	18,729,102
არამატერიალური აქტივები		35,775	42,063
ინვესტიციები საწარმოში		1,010,450	1,010,450
სულ გრძელვადიანი აქტივები		20,714,625	22,844,406
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	7,637,926	8,358,546
გაცემული სესხი		50,000	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	17,874,506	4,466,664
ფული და ფულის ექვივალენტები	10	798,065	1,603,590
სულ მოკლევადიანი აქტივები		26,360,496	14,428,799
სულ აქტივები		47,075,121	37,273,205
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	14,475,105	14,840,837
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,475,105	14,840,837
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	7	1,854,272	2,015,489
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		24,007,696	13,652,537
საგადასახადო ვალდებულებები		106,631	217,873
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,968,599	15,885,899
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,075,121	37,273,205

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თამთა დვალიშვილი

ზაზა სარჯველაძე

29 სექტემბერი, 2025 წელი
საქართველო, თბილისი

შპს „მემო“

მოგებისა და ზარალის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შე- ნიშ- ვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	14	70,378,535	68,074,044
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(60,199,924)	(57,502,864)
საოპერაციო მოგება		10,178,611	10,571,180
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(16,123,148)	(15,981,671)
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	16	9,094,795	8,069,272
ფინანსური დანახარჯები	17	(957,050)	(1,100,065)
ფინანსური შემოსავლები	17	2,934,938	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,049,011)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	5,697
სხვა შემოსავალი	18	2,160,488	34,369
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		4,239,623	1,598,784
მოგების გადასახადის ხარჯი		(623,201)	
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		3,616,421	1,598,784
სხვა სრული შემოსავლები		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,616,421	1,598,784

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თამთა დვალიშვილი

ზაზა სარჯველაძე

29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „მემო“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენი- შვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		3,616,421	1,598,784
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6.7	2,248,996	1,951,163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანარიცხი	9	395,844	296,643
საპროცენტო (შემოსავალი)/ხარჯი	17	957,050	1,126,029
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შედეგი	17	(2,934,938)	(25,964)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	(13,407,842)	(28,575)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	8	720,620	(619,970)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში, წმინდა		111,242	91,876
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	10,193,942	3,365,246
ცვლილება საოპერაციო საქმიანობიდან		1,901,336	7,755,232
მიღებული/(გადახდილი) პროცენტი		15,684	(46,050)
მიღებული დივიდენდები		2,099,845	-
სხვა საოპერაციო გასავლები		-	(851,827)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		4,016,865	6,857,355
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შემენა)/გაყიდვა	6	(140,458)	(1,278,989)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(140,458)	(1,278,989)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(3,354,900)	(1,615,169)
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(1,327,032)	(1,827,666)
სასესხო ვალდებულების გადახდა		-	(1,533,722)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,681,932)	(4,976,556)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	1,603,590	1,001,780
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(805,525)	601,810
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	10	798,065	1,603,590

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი ფინანსური დირექტორი

თამთა დვალისვილი ზაზა სარჯველაძე

29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი დეკემბერი 31, 2022	-	6,562,854	6,562,854
წლის მოგება / (ზარალი)		1,598,784	1,598,784
დივიდენდის გამოცხადება		(1,615,169)	(1,615,169)
ნაშთი დეკემბერი 31, 2023	-	6,546,469	6,546,469
წლის მოგება / (ზარალი)		3,616,421	3,616,421
დივიდენდის გამოცხადება		(3,531,474)	(3,531,474)
ნაშთი დეკემბერი 31, 2024	-	6,631,416	6,631,416

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თამთა დვალიშვილი

ზაზა სარჯველაძე

29 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველო, თბილისი